ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის წესები

CGL/C-001/2026

ყველგან ამ **დაზღვევის ხელშეკრულებაში**, მიმართვა **„თქვენ"/„თქვენი"** ეკუთვნის **პოლისში** მითითებულ **„დამზღვევს"** და ასევე, ნებისმიერ სხვა პიროვნებას თუ ორგანიზაციას, რომელიც ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიიჩნევა **დაზღვეულად.** სიტყვებით **„ჩვენ"/„ჩვენი"** მოიხსენიება **მზღვეველი** - სადაზღვევო კომპანია „ალდაგი".

სიტყვა **„დაზღვეული"** ნიშნავს ნებისმიერ პიროვნებას თუ ორგანიზაციას, რომელიც წინამდებარე წესების II სექციის – „ვინ არის **დაზღვეული"** შესაბამისად მიიჩნევა ასეთად. სქელი შრიფტით გამოყოფილ სხვა სიტყვებსა და ფრაზებს აქვთ სპეციალური მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულია V სექციაში - „ტერმინთა განმარტებები".

ეს **დაზღვევის ხელშეკრულება** ითვალისწინებს **მოთხოვნასა** და შეტყობინებაზე დაფუძნებულ დაფარვას**.** გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, ამ ხელშეკრულების ფარგლებში იფარება მხოლოდ ის **მოთხოვნები**, რომლებიც *პირველად იყო წაყენებული* **დაზღვეულისთვის** და შეტყობინებული **ჩვენთვის დაზღვევის პერიოდის** ან **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში.

I სექცია - დაფარვა

პასუხისმგებლობა სხეულისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანისთვის

1. შეთანხმება სადაზღვევო დაფარვაზე

ა. **ჩვენ** გადავიხდით იმ თანხებს, რომლებიც **დაზღვეულმა**, მასზე დაკისრებული სამართლებლივი ვალდებულების შესაბამისად, კომპენსაციის სახით უნდა გადაიხადოს **სხეულის დაზიანების** ან **ქონებრივი ზიანის** მიყენების ისეთი შემთხვევების გამო, რომლებზეც ვრცელდება ეს დაზღვევა. **ჩვენ** უფლება გვექნება დავიცვათ **დაზღვეული** ნებისმიერი **სარჩელისგან,** რომელიც კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით მის წინააღმდეგ იქნება შეტანილი. **ჩვენ** შეგვიძლია, ჩვენი შეხედულებისამებრ, გამოვიკვლიოთ ნებისმიერი შემთხვევა და დავარეგულიროთ ნებისმიერი **მოთხოვნა** ან **სარჩელი**, რომელიც ამ შემთხვევამ შეიძლება წარმოშვას. ამასთან, **ჩვენ** მიერ კომპენსაციის მიზნით გაცემული თანხები უნდა აკმაყოფილებდეს იმ შეზღუდვებს, რომლებიც განპირობებულია **პოლისში** მითითებული **ერთ შემთხვევაზე ლიმიტით** და **აგრეგირებული ლიმიტით**.

ეს დაზღვევა არ ფარავს არანაირ სხვაგვარ პასუხისმგებლობას თანხების გადახდასა თუ სხვა ქმედებების ჩატარებაზე ან მომსახურების გაწევაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ღიად არის გაცხადებული „დამატებითი გადახდების" პუნქტში.

ბ. ეს დაზღვევა ფარავს **სხეულის დაზიანებას** და/ან **ქონებრივ ზიანს** მხოლოდ მაშინ, როცა:

(1) ასეთი **სხეულის დაზიანება** და/ან **ქონებრივი ზიანი** გამოწვეულია **შემთხვევით**, რომელსაც ადგილი აქვს **დაფარვის ტერიტორიაზე**;

(2) ასეთი **სხეულის დაზიანება** და/ან **ქონებრივი ზიანი** პირველად გამოაშკარავდა და ამის თაობაზე **ჩვენთვის** იყო შეტყობინებული **დაზღვევის პერიოდის** ან **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში;

(3) **შემთხვევა**, რომელმაც გამოიწვია **სხეულის დაზიანება** და/ან **ქონებრივი ზიანი**, მოხდა **უკუქმედების თარიღის** შემდეგ;

(4) **მოთხოვნა** თუ **სარჩელი** კომპენსაციის გადახდის თაობაზე ასეთი **სხეულის დაზიანებისთვის** და/ან **ქონებრივი ზიანისთვის** წარდგენილია იმ ქვეყანაში, რომელშიც მდებარეობს **დაფარვის ტერიტორია**.

გ. ზემოთ მოყვანილი პირობების დაცვით, **ჩვენ** გავცემთ ამ დაფარვით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო/არბიტრაჟი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას **თქვენი** პასუხისმგებლობის მოცულობის თაობაზე და ეს გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. ამასთან, ამ დაზღვევის მიზნებისთვის, არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება **დაზღვეულის** საზიანოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, შესულია იგი კანონიერ ძალაში, თუ - არა.

დ. **ჩვენ, ჩვენი** საკუთარი შეხედულებით, შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება სასამართლოს/არბიტრაჟის გარეშე **მოთხოვნის** დარეგულირების შესახებ, იმ პირობით, რომ **თქვენ** მიიღებთ **ჩვენს** წინადადებას სასამართლოს/არბიტრაჟის გარეშე ანაზღაურების გაცემის თაობაზე და გაგვათავისუფლებთ ამ **შემთხვევასთან** დაკავშირებული ყოველგვარი შემდგომი პასუხისმგებლობისგან.

2. გამონაკლისები

ამ დაზღვევით არ იფარება:

ა. განზრახ ქმედება და უხეში გაუფრთხილებლობა

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი**, რომელიც რომელიმე **დაზღვეულის** განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული. ეს გამონაკლისი არ ვრცელდება **სხეულის** ისეთ **დაზიანებაზე**, რომელიც მოჰყვა ადამიანების ან ქონების დაცვის მიზნით განხორციელებულ გონივრულ ძალისხმევას.

ბ. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი**, რომლის გამოც **დაზღვეულს** წარმოექმნა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება გამომდინარე იქიდან, რომ რაიმე ხელშეკრულებითა თუ შეთანხმებით მან იკისრა შესაბამისი პასუხისმგებლობა. გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მას დაეკისრებოდა ასეთი პასუხისმგებლობა ხსენებული ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების არარსებობის შემთხვევაშიც.

გ. ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი**, რომლის გამოც ამა თუ იმ **დაზღვეულს** შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა:

(1) იმ მიზეზით, რომ მას ბრალი მიუძღვის რომელიმე პიროვნების ინტოქსიკაციაში ან ასეთი ინტოქსიკაციის ხელშეწყობაში;

(2) ალკოჰოლური სასმელის იმ პირთათვის მიწოდების გამო, რომლებმაც ჯერ არ მიაღწიეს ალკოჰოლური სასმელების მოხმარების უფლების მიღების კანონით დადგენილ ასაკს ან რომლებიც იმყოფებიან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ; ან

(3) ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა, ჩუქება, გავრცელება ან მოხმარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონის, განკარგულების თუ მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე.

ეს გამონაკლისი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა **თქვენ** აწარმოებთ ალკოჰოლურ სასმელებს, ავრცელებთ ან ყიდით მათ, ეწევით ალკოჰოლური სასმელების მოხმარებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ან ახორციელებთ მათ მიწოდებას.

დ. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა

სხეულის დაზიანება, რომელიც:

(1) მიადგა **დაზღვეულის დასაქმებულს**, რაც განაპირობა იმან, რომ (და მოხდა მაშინ, როცა)

(ა) იგი **დაზღვეულის** მიერ იყო დასაქმებული; ან

(ბ) ასრულებდა **დაზღვეულის** ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებულ მოვალეობებს; ან

(2) (1)-ში აღწერილ მოვლენათა შედეგად, მიადგა ხსენებული **დასაქმებულის** მეუღლეს, შვილს, მშობელს, დას ან ძმას.

ეს გამონაკლისი მოქმედებს:

(ა) იმის მიუხედავად, **დაზღვეულს,** როგორც დამსაქმებელს წარმოექმნა პასუხისმგებლობა, თუ როგორც ნებისმიერი სხვა უფლებამოსილების მქონე პირს; და

(ბ) ნებისმიერ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს სხეულის დაზიანების გამო კომპენსაციის გადახდის ვალდებულების მქონე ვინმე სხვა პირის მიერ ამ კომპენსაციის გადახდაში თანამონაწილეობას ან ამ პირის მიერ ასეთი კომპენსაციის გადახდის შემდეგ მისთვის გადახდილი თანხის ნაწილის ანაზღაურებას.

ე. დაბინძურება

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი** მომხდარი **დამაბინძურებლების** ფაქტობრივი თუ ნავარაუდევი გამოდინების (discharge), გაბნევის (dispersal), გამოჟონვის (seepage), გავრცელების (migration), გამოშვების (release), გაპარვის (escape) ან ყოველივე ამის მოხდენის საფრთხის არსებობის გამო.

ვ. საჰაერო ხომალდი, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება, ავტომობილი და მობილური მოწყობილობა

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი,** რომელიც განპირობებულია იმ საჰაერო ხომალდის, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების, **ავტომობილის** ან **მობილური მოწყობილობის** მფლობელობით, მოვლა-პატრონობით, გამოყენებით, გადატანით ან სხვებისთვის მინდობით, რომელიც წარმოადგენს რომელიმე **დაზღვეულის** საკუთრებას ან რომელსაც რომელიმე **დაზღვეული** უწევს ექსპლუატაციას, ან რომელიც არის მის მიერ დაქირავებული ან იმყოფება მის დროებით სარგებლობაში. გამოყენება გულისხმობს ნებისმიერი სახის ექსპლუატაციას **ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის** ჩათვლით.

ზ. ომი

სხეულის დაზიანება ან **ქონებრივი ზიანი** მომხდარი ომის (იმის მიუხედავად, გამოცხადებულია ომი თუ არა) ან ომისთვის დამახასიათებელი რაიმე ქმედების ან გარემოების გამო. ტერმინი „ომი“ მოიცავს სამოქალაქო ომს, ამბოხს, შემოჭრას, მტრულ ქმედებას, სამოქალაქო მღელვარებას (მათ შორის, ფრაქციულს), ტერორიზმს, ძალაუფლების სამხედრო გზით მიტაცებას ან მის უზურპირებას, აჯანყებას ან რევოლუციას.

თ. ქონების დაზიანება

ქონებრივი ზიანი, რომელიც მიადგა:

(1) **თქვენს** საკუთრებაში არსებულ, **თქვენს** მიერ დაქირავებულ ან დაკავებულ ქონებას;

(2) იმ შენობა-ნაგებობას, რომელსაც **თქვენ** ყიდით, გააჩუქებთ ან მიატოვებთ, თუ **ქონებრივი ზიანი** აღნიშნული შენობა-ნაგებობის რომელიმე ნაწილიდან მომდინარეობს;

(3) **თქვენთვის** დროებით სარგებლობაში გადმოცემულ ქონებას;

(4) **დაზღვეულის** მზრუნველობის, მეურვეობის ან კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა პირთა პირად ქონებას;

(5) უძრავი ქონების იმ კონკრეტულ ნაწილს, რომელზეც **თქვენ**, ან **თქვენი** სახელით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედი რომელიმე კონტრაქტორი თუ ქვეკონტრაქტორი, ასრულებთ სამუშაოებს, თუ **ქონებრივი ზიანი** წარმოიქმნა ამ სამუშაოების გამო; ან

(6) ქონების იმ კონკრეტულ ნაწილს, რომელიც უნდა აღდგეს, შეკეთდეს ან ჩანაცვლდეს იმის გამო, რომ მასზე არასათანადოდ იქნა შესრულებული **თქვენი სამუშაო**.

ი. თქვენი პროდუქტისთვის მიყენებული ზიანი

ქონებრივი ზიანი, რომელიც მიადგა **თქვენს პროდუქტს** და რომელიც თავად ამ პროდუქტით ან რომელიმე მისი ნაწილითაა გამოწვეული.

კ. თქვენი სამუშაოსთვის მიყენებული ზიანი

ქონებრივი ზიანი, რომელიც მიადგა **თქვენს სამუშაოს** და რომელიც თავად ამ სამუშაოთი ან რომელიმე მისი ნაწილითაა გამოწვეული.

ლ. თქვენი სამუშაოს ან პროდუქტის შემცველი ქონებისთვის მიყენებული ზიანი

ქონებრივი ზიანი, რომელიც მიადგა **თქვენი პროდუქტის** ან **სამუშაოს** შემცველ ქონებას.

მ. აზბესტი

ქონებრივი ზიანი ან **სხეულის დაზიანება**, რომელიც წარმოიქმნა აზბესტის პროდუქტების, აზბესტის ბოჭკოების ან აზბესტის მტვრის წარმოების, მოპოვების, გამოყენების, გაყიდვის, დამონტაჟების, მოშორების, გავრცელების ან მათი ზემოქმედების შედეგად. ასევე, არ იფარება **დაზღვეულის** არანაირი პასუხისმგებლობა, წარმოქმნილი ნებისმიერი მხარის წინაშე ისეთი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც განპირობებულია ზემოთ ხსენებული **ქონებრივი ზიანით** ან **სხეულის დაზიანებით**, რომელიც წარმოიქმნა აზბესტის პროდუქტების, აზბესტის ბოჭკოების ან აზბესტის მტვრის წარმოების, მოპოვების, გამოყენების, გაყიდვის, დამონტაჟების, მოშორების, გავრცელების ან მათი ზემოქმედების შედეგად.

ნ. ბირთვული რისკები

პასუხისმგებლობა წარმოქმნილი ისეთი **მოთხოვნების** შედეგად, რომელთა წაყენება განაპირობა, პირდაპირ თუ ირიბად გამოიწვია ან მათ წაყენებას ხელი შეუწყო

(ა) მაიონიზირებელმა რადიაციამ ან რაიმე ბირთვული საწვავით თუ მისი წვის შედეგად წარმოქმნილი ბირთვული ნარჩენებით გამოწვეულმა რადიოაქტიურმა დაბინძურებამ;

(ბ) ნებისმიერი ფეთქებადი ბირთვული აგრეგატის ან მისი რომელიმე ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიურმა, ტოქსიკურმა, ფეთქებადმა ან სხვამხრივ სახიფათო თვისებებმა.

ო. მაგნიტური ან ელექტრომაგნიტური ველები ან გამოსხივება

არანაირი ზარალი ან პასუხისმგებლობა, რომლის წარმოქმნა განაპირობა ან ამ წარმოქმნას, პირდაპირ თუ ირიბად, ხელი შეუწყო ნებისმიერი მიზეზით გაჩენილი თუ გენერირებული მაგნიტური ან ელექტრომაგნიტური ველების ან გამოსხივების ზემოქმედებამ.

პ. პანდემია

არანაირი სხეულის დაზიანება, ზარალი ან ზიანი და ყოველივე ამით გამოწვეული საქმიანობის შეწყვეტა, ასევე, არანაირი ხარჯი თუ დანახარჯი, რომელიც განპირობებულია გავრცელების პანდემიური ხასიათის მქონე რაიმე ინფექციური დაავადებით, წარმოადგენს ასეთი დაავადების შედეგს, დაკავშირებულია მასთან ან პირდაპირ თუ ირიბად გამოწვეულია ამგვარი დაავადებით (მათ შორის, შიშის გრძნობის ან საფრთხის განცდის გაჩენით). აქ, ინფექციური დაავადების ცნება ასევე მოიცავს ნებისმიერ ვირუსს, ბაქტერიას ან სხვა მიკროორგანიზმს, რომელიც იწვევს დაავადებას, ავადმყოფობას, ფიზიკურ განცდებს ან რომელსაც შეუძლია ყოველივე ამის გამოწვევა, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, COVID-19, SARS.

ჟ. პროფესიული პასუხისმგებლობა

არანაირი პასუხისმგებლობა **სხეულის დაზიანებასა** თუ **ქონებრივ ზიანზე**, რომელიც **დაზღვეულს** წარმოექმნება მისი ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი სხვა პირის მიერ **პოლისში** მითითებული **დამზღვევის** საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას დაშვებული/ჩადენილი ან სავარაუდოდ დაშვებული/ჩადენილი პროფესიული ხასიათის შეცდომის, გაუფრთხილებლობის, დაუდევრობის/კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

რ. პროდუქტები/დასრულებული სამუშაოები

არანაირი პასუხისმგებლობა **სხეულის დაზიანებასა** თუ **ქონებრივ ზიანზე**, რომელიც განპირობებულია **პროდუქტებიდან/დასრულებული სამუშაოებიდან მომდინარე საფრთხეებით.**

ს.კიბერ რისკები

არანაირი ზარალი, ზიანი, პასუხისმგებლობა თუ ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოიწვია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის ან რამდენიმეს, როგორც ზიანის მიმყენებელი საშუალებების, გამოყენებამ თუ ექსპლუატაციამ ან რომლის წარმოქმნაშიც წვლილი შეიტანა, ან რომელთა წარმოქმნაც განაპირობა ასეთმა გამოყენებამ თუ ექსპლუატაციამ:

ნებისმიერი კომპიუტერი, კომპიუტერული სისტემა, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა, მავნე კოდი, კომპიუტერული ვირუსი, პროცესი ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული სისტემა.

ტ. სოკო და ობი

არანაირი ზარალი, ზიანი, ხარჯი ან დანახარჯი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად წარმოიქმნა ობის, ჭრაქის, სოკოს, სპორების არსებობის, მათი ზრდის, გამრავლების, გავრცელების თუ სხვა სახის აქტივობის შედეგად, ან ნებისმიერი მიზეზით მომხდარი მიკრობული დაბინძურების გამო.

უ. ფულადი და არაფულადი ჯარიმები, პირგასამტეხლო, სადამსჯელო ხასიათის/კონტრაქტით წინასწარ გათვალისწინებული კომპენსაციები

არანაირი **მოთხოვნა**, რომელიც წარმოიქმნა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით ან რამდენიმეთი, ეფუძნება მათ, განპირობებულია მათ მიერ ან წარმოადგენს მათ შედეგს: პირგასამტეხლო, ფულადი და არაფულადი ჯარიმები, სადამსჯელო ხასიათის ან კონტრაქტით გათვალისწინებული კომპენსაციები.

ფ. გენმოდიფიცირებული ორგანიზმი

ნებისმიერ **მოთხოვნასთან** დაკავშირებული არანაირი დამდგარი თუ ნავარაუდები პასუხისმგებლობა, ასევე არანაირი ხარჯი თუ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად წარმოიქმნა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით ან რამდენიმეთი, მოჰყვა მათ ან გამომდინარეობს მათგან:

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გენეტიკურად სახეცვლილი კომპონენტი, მისგან მიღებული ნებისმიერი სახის პროტეინი ან ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც შეიცავს აღნიშნულ კომპონენტსა თუ პროტეინს.

ქ. სილიციუმი

არანაირი ზარალი, ზიანი, პასუხისმგებლობა, **მოთხოვნა**, ხარჯი თუ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად, რეალურად თუ სავარაუდოდ გამოიწვია, რომლის წარმოქმნაში სრულად თუ ნაწილობრივ წვლილი შეიტანა ან რომლის წარმოქმნაც განაპირობა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის თუ რამდენიმეს სიახლოვეში ყოფნამ, გადაყლაპვამ, შესუნთქვამ თუ ზემოქმედებამ:

სილიციუმის შემცველი პროდუქტები, სილიციუმის ბოჭკოები, სილიციუმნარევი მტვრის ან ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილი სილიციუმი.

დამატებითი გადახდები

1. **დაზღვეულისთვის** წაყენებულ ნებისმიერ **მოთხოვნასთან** მიმართებაში, რომელსაც **ჩვენ** გამოვიკვლევთ ან დავარეგულირებთ ან **დაზღვეულის** წინააღმდეგ შეტანილ ნებისმიერ **სარჩელთან** დაკავშირებით, რომლისგანაც მას დავიცავთ, **ჩვენ** დავფარავთ:

ა. ყველა გონივრულ ხარჯს, რომელსაც **დაზღვეული ჩვენი** მოთხოვნით გაწევს რათა დაგვეხმაროს რაიმე **მოთხოვნასთან** თუ **სარჩელთან** დაკავშირებული გამოკვლევის ჩატარებაში ან ასეთი **მოთხოვნისგან** თუ **სარჩელისგან** დაცვაში.

ბ. **სარჩელით** მოთხოვნილ და **დაზღვეულზე** დაკისრებულ ყველა ხარჯსა და გადასახადს ამ ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

აღნიშნული გადახდები შეამცირებს დაზღვევის ლიმიტებს.

II სექცია – ვინ არის დაზღვეული

1. თუ **პოლისში** მითითებული **დამზღვევი** არის:

   ა. ამხანაგობა ან ერთობლივი საწარმო, მაშინ **დამზღვევთან** ერთად **დაზღვეულები** არიან მისი წევრები, თუმცა მხოლოდ **დამზღვევის ბიზნესის** წარმართვასთან მიმართებაში.

   ბ. ორგანიზაცია (გარდა ამხანაგობისა და ერთობლივი საწარმოსი), მაშინ **დამზღვევთან** ერთად **დაზღვეულები** არიან მისი **აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირები** და დირექტორები, თუმცა მხოლოდ იმ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, რომელიც მათ გააჩნიათ **დამზღვევის ბიზნესის** წარმართვასთან მიმართებაში. **დამზღვევთან** ერთად ასევე არიან **დაზღვეულები** მისი აქციონერები, ოღონდ მხოლოდ იმ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, რომელიც მათ, როგორც აქციონერებს, გააჩნიათ **დამზღვევის ბიზნესის** წარმართვასთან მიმართებაში.

2. **დაზღვეულები** ასევე არიან:

   ა. **დამზღვევის** მიერ **დასაქმებულები**, მაგრამ მხოლოდ ისეთ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ განახორციელეს **დამზღვევის** მიერ მათი დასაქმების ფარგლებში ან მისი **ბიზნესის** წარმართვასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. თუმცა, არცერთი ხსენებული **დასაქმებული** არ არის **დაზღვეული** ისეთი **სხეულის დაზიანების** შემთხვევაში, რომელიც მან მიაყენა სხვა **დაზღვეულს** ან ისეთი **ქონებრივი ზიანის** შემთხვევაში, რომელიც მან მიაყენა სხვა **დაზღვეულის** საკუთრებაში/მფლობელობაში/კონტროლის ქვეშ მყოფ ქონებას.

   ბ. **დამზღვევის** (თუ **დამზღვევი** ფიზიკური პირია) გარდაცვალების შემთხვევაში, მისი კანონიერი სამართალმემკვიდრე, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულად **დამზღვევის** ვალდებულებებთან მიმართებაში.

არცერთი პირი არ არის **დაზღვეული** იმ საქმიანობასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება ისეთი მოქმედი ან ყოფილი ამხანაგობის ან ერთობლივად/სოლიდარულად მოქმედ საწარმოთა ჯგუფის წევრობას, რომელიც **პოლისში** არ არის მითითებული როგორც **დამზღვევი.** ასევე, არცერთი ორგანიზაცია არ არის **დაზღვეული**, თუ ის არ არის მითითებული **პოლისში** როგორც **დამზღვევი**.

III სექცია – ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. გაკოტრება

დაზღვეულის გაკოტრება ან მისი თუ მისი ქონების გადახდისუუნარობა არ გვათავისუფლებს **ჩვენ** ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში **ჩვენზე** დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

2. თქვენი ვალდებულებები რაიმე შემთხვევის, მოთხოვნის წაყენების ან სარჩელის შეტანის შემთხვევაში

ა. **თქვენ** უნდა უზრუნველყოთ, რომ რაც შეიძლება დროულად, მაგრამ არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღისა მას შემდეგ, რაც შეიტყობთ იმ **შემთხვევის** შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს **მოთხოვნის** წაყენება, შეგვატყობინოთ აღნიშნულის შესახებ. შეტყობინება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეიცავდეს:

(1) იმას, თუ როგორ, როდის და სად მოხდა **შემთხვევა**;

(2) დაზარალებულ პირთა და მოწმეთა სახელებსა და მისამართებს; და
(3) ინფორმაციას **შემთხვევით** განპირობებული **სხეულის დაზიანებისა** თუ **ქონებრივი ზიანის** ხასიათის შესახებ და ასევე იმას, თუ სხეულის ან ქონების რა ნაწილს მიადგა ზიანი.

შემთხვევის შესახებ შეტყობინება არ წარმოადგენს შეტყობინებას **მოთხოვნის** შესახებ.

ბ. თუ რომელიმე **დაზღვეულს** წაუყენეს **მოთხოვნა**, **თქვენ** ვალდებული ხართ:

(1) დაუყოვნებლივ დააფიქსიროთ **მოთხოვნის** დეტალები და თავისებურებები, ასევე, მისი მიღების თარიღი; და
(2) რაც შეიძლება მალე შეგვატყობინოთ **მოთხოვნის** მიღების თაობაზე, თუმცა არაუგვიანეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღისა იმ მომენტიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ასეთი **მოთხოვნის** შესახებ.

თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ზემოთ ხსენებული ზეპირი შეტყობინებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ფარგლებში, **ჩვენ** ასევე მივიღოთ წერილობითი შეტყობინება.

გ. **თქვენ** და სხვა ნებისმიერი ყოველივე ამაში ჩართული **დაზღვეული** ვალდებულნი ხართ:

(1) დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ **მოთხოვნასთან** ან **სარჩელთან** დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი მოთხოვნების შემცველი დოკუმენტების, შეტყობინებების, გამოძახებების ან იურიდიული დოკუმენტების ასლები;
(2) მოგვანიჭოთ ჩანაწერებისა და სხვა ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება;
(3) ითანამშრომლოთ **ჩვენთან მოთხოვნასთან** დაკავშირებულ გამოძიებაში ან მის დარეგულირებაში ან **სარჩელის** წინააღმდეგ დაცვაში; და
(4) **ჩვენი** მოთხოვნისთანავე, ხელი შეგვიწყოთ იმ პირისა თუ ორგანიზაციის მიმართ ნებისმიერი უფლების განხორციელებაში, რომელიც შეიძლება პასუხისმგებელი იყოს **დაზღვეულის** წინაშე იმ **სხეულის დაზიანებასა** ან **ქონებრივ ზიანზე**, რომელზეც ეს დაზღვევა შეიძლება ასევე ვრცელდებოდეს.

დ. **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე, არცერთმა **დაზღვეულმა** ნებაყოფლობით არ უნდა გადაიხადოს არანაირი თანხა, არ უნდა აიღოს რაიმე ვალდებულება ან გაიღოს რამე ხარჯი გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას **დაზღვეული** პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით აკეთებს. **ჩვენი** თანხმობის გარეშე გადახდილი ნებისმიერი თანხა, მიცემული დაპირება თუ აღებული ვალდებულება არ იქნება დაფარული/კომპენსირებული ამ დაზღვევის ფარგლებში.

3. სამართლებრივი ქმედებები ჩვენს წინააღმდეგ, დაცვის ტაქტიკის შეთანხმება

პიროვნებას ან ორგანიზაციას აქვს უფლება გვიჩივლოს ანაზღაურების მოთხოვნით შეთანხმებულ გარიგებასთან ან რეალური სასამართლო განხილვის შედეგად **დაზღვეულის** წინააღმდეგ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; მაგრამ **ჩვენ** არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ კომპენსაციაზე, რომელიც ამ დაზღვევის წესებით არ არის გადასახდელი ან რომელიც აღემატება დადგენილ **სადაზღვევო ლიმიტს**. შეთანხმებული გარიგება ნიშნავს გარიგებას და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რომელიც ხელმოწერილია **ჩვენს, დაზღვეულის** და მოსარჩელის ან ამ უკანასკნელის კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

თქვენს წინააღმდეგ არსებული ან პოტენციური/მოსალოდნელი ნებისმიერი სახის **მოთხოვნის** /**სარჩელის** არსებობის შემთხვევაში, **თქვენ** ვალდებული ხართ, **თქვენი** ინტერესების დაცვაზე მიმართული ნებისმიერი ღონისძიება წინასწარ შეათანხმოთ **ჩვენთან** და **თქვენი** ინტერესების/უფლებების დაცვა (როგორც სასამართლოში/არბიტრაჟში/დავის განმხილველ ნებისმიერ ორგანოში, ისე მის/მათ გარეთ) აწარმოოთ მხოლოდ **ჩვენს** მიერ განსაზღვრული დაცვის ტაქტიკის მიხედვით, რაც გულისხმობს არა მარტო დაცვის განხორციელებაზე მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებსა და შესაბამის სტრატეგიას, არამედ, დაცვის განმახორციელებელი პირების/ადვოკატების/წარმომადგენლების შერჩევას. ამასთან, **თქვენ** ვალდებული ხართ არცერთ შემთხვევაში არ აღიაროთ არცერთი სხვა პირის **მოთხოვნა** თუ **სარჩელი**, არც ზეპირად, არც წერილობით და არც სხვა ნებისმიერი პირდაპირი, არაპირდაპირი თუ კონკლუდენტური ფორმით, ასევე, არ დაუშვათ **თქვენს** საზიანოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ან თქვენი, სხვა რაიმე სახის,

უმოქმედობა. **თქვენ** ასევე ვალდებული ხართ, ნებისმიერი გონივრული საშუალებითა და ფორმით შეგვიწყოთ ხელი ზემოხსენებული დაცვის **ჩვენს** მიერ ჯეროვან წარმართვაში. ჩამოთვლილთაგან თუნდაც რომელიმე ერთი ვალდებულების **თქვენი** მხრიდან დარღვევა/შეუსრულებლობა, გვანიჭებს უპირობო უფლებას, უარი ვთქვათ ამ **დაზღვევის ხელშეკრულების** ფარგლებში ანაზღაურების გაცემაზე.

4. სხვა დაზღვევა

თუ რაიმე ისეთი **შემთხვევის** დადგომის მომენტში, რომელმაც გამოიწვია ამ **დაზღვევის ხელშეკრულებით** დაფარული პასუხისმგებლობის წარმოქმნა, არსებობს ნებისმიერი სახის სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც ფარავს იგივე პასუხისმგებლობას (მიუხედავად იმისა, ამოქმედებულია თუ – არა აღნიშნული დაზღვევა **თქვენს** მიერ), **ჩვენ** ავანაზღაურებთ ზარალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უდრის ამ დაზღვევის წილს ყველა მზღვეველის დაფარვის ჯამურ მოცულობაში, იმის მიუხედავად თუ რამდენად პერსპექტიულია ანაზღაურების სხვა მზღვეველებისგან მიღება.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს ამავე პასუხისმგებლობის სხვა სავალდებულო დაზღვევა, რა დროსაც, ანაზღაურება პირველ რიგში უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევის მიერ და მხოლოდ ასეთი სავალდებულო დაზღვევით დაუფარავ ნაწილთან მიმართებაში იქნება მოქმედი ამ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული დაფარვა.

5. წარმოდგენილი ინფორმაცია

ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **თქვენ** ეთანხმებით იმას, რომ:

ა. **დაზღვევის პოლისში** წარმოდგენილი დებულებები ზუსტად და სრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას;

ბ. ეს დებულებები ეფუძნება **თქვენს** მიერ შევსებულ განაცხადში წარმოდგენილ ინფორმაციას; და

გ. **ჩვენ** გავეცით ეს **პოლისი თქვენს** მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

6. სუბროგაცია

1. იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვეულს** აქვს მის მიერ განცდილი და ამ დაზღვევის ფარგლებში **ჩვენ** მიერ ანაზღაურებული ზარალის მესამე პირებისაგან მთლიანად თუ ნაწილობრივ ამოღების უფლება, მაშინ ეს უფლება, **ჩვენ** მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებში, უნდა გადმოვიდეს **ჩვენზე. დაზღვეული** ვალდებულია გადმოგვცეს ჩვენ ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი, მტკიცებულება და ინფორმაცია, ასევე შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რომელიც აუცილებელია მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაციისთვის, რომელიც **ჩვენ** სუბროგაციის გზით გადმოგვეცა.

2. **დაზღვეულს** არ აქვს უფლება უარი თქვას თავის მოთხოვნებზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ, გააფორმოს მასთან მორიგება ან გადადგას ისეთი ნაბიჯი რომელიც შეუძლებელს გახდის ან შეგვიზღუდავს **ჩვენ** მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამოყენებას, რომელიც ჩვენ სუბროგაციის გზით გადმოგვეცა. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოვითხოვოთ უკვე გაცემული ანაზღაურების უკან დაბრუნება.

7. ხელშეკრულების ნაწილის ბათილობა

იმ შემთხვევაში, თუ ამ **ხელშეკრულების** რაიმე დებულება კომპეტენტური სასამართლოს მიერ იქნება აღიარებული, როგორც იურიდიულად ძალადაკარგული, ასეთი დებულება ჩაითვლება ამ ხელშეკრულებიდან ამოღებულად, ხოლო მისი სხვა დარჩენილი დებულებები იქნება ქმედითი და სრული იურიდიული ძალის მქონე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

(ა) **ჩვენ** შეგვიძლია შევწყვიტოთ ეს **დაზღვევის ხელშეკრულება** იმ პირობით, რომ **30 დღით** ადრე ვაცნობებთ ამის თაობაზე **დამზღვევს** მის ბოლო ცნობილ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში, **ჩვენ** დავაბრუნებთ პრემიის ნაწილს, რომელიც **დაზღვევის პერიოდის** დარჩენილი ნაწილის პროპორციულია.

(ბ) თუ **ჩვენ** მიერ ამ **ხელშეკრულების** შეწყვეტა განპირობებულია **თქვენ** მიერ ამ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შეუსრულებლობით, **თქვენ** წარმოგექმნებათ, **ჩვენთვის** დაზღვევის ძალაში ყოფნის ფაქტობრივი პერიოდის შესაბამისი **დაზღვევის** პრემიის, **მოკლე პერიოდის გრაფიკის** მიხედვით გადახდის ვალდებულება.

(გ) თქვენ ასევე შეგიძლიათ ამ **ხელშეკრულების** შეწყვეტა იმ პირობით, რომ **30 დღით** ადრე გვაცნობებთ ამის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის გზით. ამ დროს, **ჩვენ** დავიტოვებთ მთლიანი პრემიის იმ ნაწილს, რომელიც, **მოკლე პერიოდის გრაფიკის** მიხედვით, შეესაბამება დაზღვევის ძალაში ყოფნის ფაქტობრივ პერიოდს, თუ **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში **დაზღვევის ხელშეკრულების** ფარგლებში არ ყოფილა წარმოდგენილი სადაზღვევო მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არანაირი პრემიის დაბრუნება არ მოხდება (**ჩვენ** დავიტოვებთ მთლიან პრემიას).

(დ) იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** შეწყვეტილია ნებისმიერი მიზეზით ან ნებისმიერი მხარის მიერ და, მისი მოქმედების პერიოდში, **ჩვენს** მიერ რაიმე ზარალია ანაზღაურებული/აღიარებული, ზემოთ მოცემული დებულებების მიუხედავად, ამ დაზღვევის ფარგლებში არანაირი პრემიის დაბრუნება არ არის გათვალისწინებული და **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პრემია არის **თქვენს** მიერ **ჩვენთვის** სრულად გადასახდელი.

9. ცვლილებები

ეს **დაზღვევის ხელშეკრულება** მოიცავს **თქვენ** და **ჩვენ** შორის არსებულ ყველა შეთანხმებას, რომელიც ეხება მის ფარგლებში წარმოდგენილ დაზღვევას. ამ **ხელშეკრულების** წესები თუ პირობები შეიძლება შეიცვალოს ან იყოს ბათილად ცნობილი მხოლოდ **ხელშეკრულებაში** შეტანილი „ცვლილებების დამადასტურებელი დანართის" ჩვენ მიერ გაცემის ფორმით, რომელიც ორივე მხარის მიერ სათანადოდ არის ხელმოწერილი.

10. საბუღალტრო წიგნებისა და ჩანაწერების შემოწმება

დაზღვევის პერიოდში და ასევე, ამ პერიოდის დასრულების შემდეგ **3 (სამი)** წლის განმავლობაში, **ჩვენ** შეგვიძლია, ნებისმიერ დროს, შევამოწმოთ და აუდიტი ჩავუტაროთ **თქვენ** საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს იმდენად, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია ამ **დაზღვევის ხელშეკრულებასთან.**

11. პრემიის გადახდა

ამ **დაზღვევის ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერი ანაზღაურების გაცემის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ პრემია/პირველი საპრემიო შენატანი (თუ **პოლისი** ითვალისწინებს პრემიის განვადებით გადახდას) უნდა იყოს გადახდილი მანამ, სანამ **ქონებრივი ზიანი** თუ **სხეულის დაზიანება** გამოვლინდება.

დაზღვევის პრემიის დროულად (ანუ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ თარიღამდე) არგადახდის შემთხვევაში, **ჩვენ** მოგცემთ დამატებით ორკვირიან ვადას დაზღვევის პრემიის გადასახდელად. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ შემთხვევა მოხდება და ამ დროისთვის პრემია ჯერ კიდევ არ იქნება გადახდილი, **ჩვენ** თავისუფალი ვიქნებით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას ცალმხრივად გავწყვიტოთ **დაზღვევის ხელშეკრულება**, ზემოთ ხსენებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გაკეთებული ერთთვიანი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

პოლისში მითითებული **დამზღვევი**:

ა. პასუხისმგებელია ყველა პრემიის გადახდაზე; და

ბ. წარმოადგენს **ჩვენს** მიერ დასაბრუნებელი პრემიის მიმღებს.

12. ამ ხელშეკრულების ფარგლებში არსებული თქვენი უფლება-ვალდებულებების გადაცემა

ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია ამ **ხელშეკრულების** ფარგლებში არსებული **თქვენი** უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა. გამონაკლისს წარმოადგენს **დამზღვევის** (ფიზიკური პირის) გარდაცვალების შემთხვევა.

თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში, **თქვენი** უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა **თქვენს** კანონიერ სამართალმემკვიდრეს, მაგრამ მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა ის ასრულებს **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრის ვალდებულებებს. მანამ სანამ **თქვენი** კანონიერი სამართალმემკვიდრე იქნება გამოვლენილი, ხსენებული უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა ნებისმიერ პირს, რომელსაც ექნება **თქვენი** ქონების დროებით განკარგვის სათანადოდ მინიჭებული უფლება, თუმცა - მხოლოდ ასეთ ქონებასთან მიმართებაში.

13. მარეგულირებელი კანონმდებლობა

ამ **დაზღვევის ხელშეკრულების** ნებისმიერი ინტერპრეტაცია რაც შეეხება მის წყობას, ნამდვილობას თუ მოქმედებას უნდა განხორციელდეს *საქართველოს კანონმდებლობის* შესაბამისად.

14. დავების გადაწყვეტა

მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ ყველანაირი დავა მხარეებს შორის, რომელიც წარმოიქმნება ამ ხელშეკრულებასთან თუ მის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა, აზრთა სხვადასხვაობა ან მოთხოვნა, ისევე როგორც დავა ამ ხელშეკრულების დარღვევასთან, შეწყვეტასთან თუ მის ბათილობასთან დაკავშირებით უნდა გადაეცეს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად *საქართველოს კომპეტენტურ სასამართლოებს*.

15. დაზღვეულთა ინტერესების დაცვა

ამ **დაზღვევის ხელშეკრულების** ფარგლებში წაყენებული სადაზღვევო მოთხოვნის განხილვის შემთხვევაში, **ჩვენ** მოგაწვდით ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ანგარიშსწორების დოკუმენტებს ან გაცნობებთ მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი დოკუმენტებისა და გამოძიების შედეგების/ჩატარებული შეფასების ანგარიშის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) მიღების მომენტიდან, **30 დღის** განმავლობაში.

სადაზღვევო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გადახდილ უნდა იქნას **ჩვენ** მიერ მომზადებული ზარალის დარეგულირებისა და შემდგომი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აქტის დაზარალებულისა და **თქვენ** მიერ ხელმოწერის შემდეგ.

16. კონფიდენციალურობის დათქმა

დაზღვევის ხელშეკრულების ყველა დებულება წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. **დაზღვევის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირისთვის (პირებისთვის) უნდა მოხდეს მხოლოდ შესაბამისი კანონის ფარგლებში ან/და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

17. სხვა დებულებები

ამ **დაზღვევის ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით

(ა) მხარეები თანხმდებიან, რომ სრულფასოვნად გაიგეს **დაზღვევის ხელშეკრულების** არსი და ხელშეკრულება დაიდო გონივრული განხილვის საფუძველზე.

(ბ) **თქვენ** გვანიჭებთ **ჩვენ** ან **ჩვენთან** აფილირებულ ნებისმიერ პირს უფლებას მოგიხსენიოთ **თქვენ,** როგორც **ჩვენი** მომხმარებელი ან/და გავამჟღავნოთ ინფორმაცია ამ ხელშეკრულების არსებობის შესახებ (კონფიდენციალურობის დარღვევის გარეშე) **ჩვენი** ბიზნესის რეკლამირების მიზნით ან საჯარო განცხადების გაკეთების პროცესში (წერილობითი ფორმით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ინტერნეტის მეშვეობით და სხვა). ამ მიზნებისათვის **ჩვენ** ან **ჩვენთან** აფილირებულ პირებს გვექნება უფლება გამოვიყენოთ **თქვენი** საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი (მათ შორის ის სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც **თქვენ** იყენებთ სასაქონლო ნიშნის მესაკუთრისგან/მფლობელისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე).

IV სექცია – გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი

1. იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** გაუქმდება **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვამდე ან არ განახლდება **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვის შემდეგ, ყოველგვარი დამატებითი პრემიის გადახდის პირობის გარეშე, გაუქმების თუ **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვის დღიდან ამოქმედდება **30 დღიანი** ავტომატური **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი**.

თუ **30 დღიანი** პერიოდის განმავლობაში **დამზღვევი** დადებს სხვა, ამოწურულის მსგავსს, **დაზღვევის ხელშეკრულებას**, ავტომატური **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი** შეწყდება ასეთი ხელშეკრულების დადების დღიდან.

2. **დამზღვევის** სურვილით და **მზღვეველთან** შეთანხმებით, **დამზღვევს** შეუძლია, დამატებითი პრემიის გადახდის სანაცვლოდ, შეიძინოს დამატებითი **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი,** რომელიც ამოქმედდება ავტომატური **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** ამოწურვის შემდეგ. ამისათვის **დამზღვევმა,** ავტომატური **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** მოქმედების განმავლობაში, წერილობით უნდა მიმართოს **მზღვეველს** შესაბამისი თხოვნით. **დამზღვევსა** და **მზღვეველს** შორის თანხმობის მიღწევის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი გასცემს „ცვლილებების დამადასტურებელ დანართს", რომელშიც სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად მითითებული იქნება დამატებითი **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** ხანგრძლივობა და დამატებითი პრემიის ოდენობა.

თუ დამატებითი **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში **დამზღვევი** დადებს სხვა, ამოწურულის მსგავსს, **დაზღვევის ხელშეკრულებას**, დამატებითი **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი** შეწყდება ასეთი ხელშეკრულების დადების დღიდან. ასეთ შემთხვევაში, **მზღვეველი** არ დაუბრუნებს **დამზღვევს** გადახდილი დამატებითი პრემიის არანაირ ნაწილს.

3. ავტომატური თუ დამატებითი **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდი დაზღვეულს** შეუძლია გამოიყენოს იმისათვის, რომ შეატყობინოს **მზღვეველს** იმ **მოთხოვნ(ებ)ის** შესახებ, რომელიც მას პირველად წაუყენეს **დაზღვევის პერიოდის** ან **გამოვლენისა და შეტყობინების პერიოდის** განმავლობაში, ოღონდ მხოლოდ ისეთი **მოთხოვნ(ებ)ის** თაობაზე, რომლებიც მოჰყვა **შემთხვევებს** მომხდარს **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმებამდე ან **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვამდე იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოხდა უფრო ადრე.

V სექცია – ტერმინთა განმარტებები

1. ავტომობილი ნიშნავს საერთო მოხმარების გზებზე მოძრაობისთვის განკუთვნილ სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მისაბმელს ან ნახევრად მისაბმელს, მათზე სტაციონალურად მიმაგრებული მანქანა-დანადგარების ჩათვლით.

2. არასათანადო ხარისხის ქონება ნიშნავს **თქვენი პროდუქტის** ან **თქვენი სამუშაოს** გარდა სხვა ხელშესახებ ქონებას, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია ან რომელიც ნაკლებად ვარგისია იმიტომ, რომ:

ა. თავის თავში შეიცავს **თქვენ პროდუქტს** ან **თქვენ სამუშაოს,** რომელთა შესახებაც ცნობილია ან სავარაუდოა, რომ ისინი წუნიანი, არასრულყოფილი, შეუსაბამო ან ხიფათის შემცველია; ან

ბ. **თქვენ** ვერ შეასრულეთ ხელშეკრულების ან შეთანხმების პირობები.

3. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც უკავია **თქვენი** წესდებით, სტრუქტურით, შინაგანაწესით ან სხვა მსგავსი მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული ხელმძღვანელი პირის პოზიცია.

4. დაზღვევის პერიოდი ნიშნავს დროის შუალედს, რომელიც იწყება **დაზღვევის პოლისში** მითითებულ ძალაში შესვლის დღეს და საათზე და სრულდება, ასევე **დაზღვევის პოლისში** მითითებულ, დასრულების თარიღის შუაღამისას.

5. დაზღვევის პოლისი (პოლისი) ნიშნავს **დაზღვევის პოლისის** საბოლოო ვარიანტს, რომელიც **ჩვენ** დავადასტურეთ და რომელიც გახდა **დაზღვევის ხელშეკრულების** ნაწილი. მასში მოცემულია **თქვენი** სადაზღვევო დაფარვის ისეთი დეტალები, როგორიცაა დაფარული პასუხისმგებლობების მოქმედი ლიმიტები და **დაზღვევის პერიოდი**, რომლის განმავლობაშიც დაფარულია **დაზღვევის ხელშეკრულებაში** აღწერილი **თქვენი** პასუხისმგებლობა.

6. დაზღვევის ხელშეკრულება - წინამდებარე წესები, **დაზღვევის პოლისი** და ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის განაცხადი, ერთობლივად წარმოადგენს **დაზღვევის ხელშეკრულებას.**

7. დამაბინძურებლები ნიშნავს მყარ, თხევად, აიროვან ან თერმულ გამაღიზიანებელ ან მომწამლავ ნივთიერებებს, მათ შორის, კვამლს, ანაორთქლს, ჭვარტლს, ძლიერი სუნის მქონე მავნე ბოლს, მჟავას, ტუტეებს, ქიმიკატებს და ნარჩენებს. ნარჩენები მოიცავს გადამუშავებად, განახლებად ან აღდგენად მასალებს.

8. დამზღვევი – ფიზიკური პირი / ორგანიზაცია მოხსენიებული **პოლისში** როგორც დამზღვევი, რომელიც დებს **დაზღვევის ხელშეკრულებას ჩვენთან** და იხდის **პრემიას**.

9. დასაქმებული – ნებისმიერი პიროვნება, რომელიც მუშაობს წერილობით თუ ზეპირად **თქვენთან** დადებული შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

10. დაფარვის ტერიტორია - **დაზღვევის პოლისში** მითითებული ტერიტორია, რომელზეც მომხდარ **შემთხვევებთან** მიმართებაში მოქმედებს ეს დაზღვევა.

11. თქვენი ბიზნესი ნიშნავს **პოლისში** აღწერილ საქმიანობას.

12. თქვენი პროდუქტი ნიშნავს:

ა. ნებისმიერ საქონელს თუ პროდუქტს (უძრავი ქონების გარდა), რომელთა წარმოება, რეალიზაცია, დამუშავება, დისტრიბუცია ან განკარგვაც ხორციელდება:

(1) **თქვენს** მიერ;

(2) სხვების მიერ, რომლებიც საქმიანობას **თქვენი** სახელით ახორციელებენ; ან

ბ. ასეთ საქონელთან ან პროდუქტებთან დაკავშირებით მოწოდებულ **კონტეინერებს** (სატრანსპორტო საშუალებების გარდა), მასალებს, ნაწილებს ან მოწყობილობებს.

თქვენი პროდუქტის ცნება არ მოიცავს სავაჭრო ავტომატებს ან სხვა ქონებას, რომელიც გაქირავებულია ან განთავსებულია სხვებთან მათ მიერ გამოსაყენებლად, მარამ არ არის გაყიდული.

13. თქვენი სამუშაო ნიშნავს:

ა. **თქვენს** მიერ ან **თქვენი** სახელით შესრულებულ სამუშაოს ან ოპერაციებს; და

ბ. ასეთ სამუშაოსთან ან ოპერაციებთან დაკავშირებით მოწოდებულ მასალებს, ნაწილებს ან მოწყობილობებს.

14. ლიმიტი - აგრეგირებული ლიმიტი ან **ლიმიტი ერთ შემთხვევაზე.**

ა. ლიმიტი ერთ შემთხვევაზე – პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ერთი **შემთხვევის** შედეგად მომხდარი ყველა **სხეულის დაზიანებისა** და **ქონებრივი ზიანის** გამო ჩვენს მიერ ჯამურად გასაცემი კომპენსაციის მაქსიმუმს

ბ. აგრეგირებული ლიმიტი წარმოადგენს იმ თანხის მაქსიმუმს, რომელსაც **ჩვენ** გადავიხდით მიუხედავად

ა. **დაზღვეულთა** რაოდენობისა;

ბ. წაყენებული **მოთხოვნებისა** თუ შეტანილი **სარჩელების** რაოდენობისა; ან

გ. იმ ფიზიკურ პირთა თუ ორგანიზაციათა რაოდენობისა, რომლებმაც წამოაყენეს **მოთხოვნა** ან შეიტანეს **სარჩელი**.

15. მობილური მოწყობილობა ნიშნავს სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა დანიშნულების გადასატან ან საერთო მოხმარების გზების გარეთ მოძრავ თვითმავალ ტექნიკურ მოწყობილობებს.

16. მოთხოვნა — ნიშნავს **დაზღვეულისადმი** წაყენებულ მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებისა თუ კომპენსაციის გადახდის თაობაზე, რომელიც განპირობებულია **ქონებრივი ზიანით** ან **სხეულის დაზიანებით**.

17. პროდუქტებიდან/დასრულებული სამუშაოებიდან მომდინარე საფრთხეები

ა. მოიცავს ყველანაირ **სხეულის დაზიანებას** და **ქონებრივ ზიანს**, რომლებიც **თქვენს** საკუთრებაში არსებული ან **თქვენს** მიერ დაქირავებული შენობა-ნაგებობის ფარგლებს გარეთ ხდება და რომლებიც განაპირობა **თქვენმა პროდუქტმა** ან **თქვენმა სამუშაომ**, გარდა:

(1) იმ პროდუქტებისა, რომლებიც ფიზიკურად ჯერ კიდევ **თქვენს** მფლობელობაშია; ან

(2) იმ სამუშაოსი, რომელიც ჯერ არ არის არც დასრულებული და არც მიტოვებული. ამასთან, **თქვენი სამუშაო** დასრულებულად ჩაითვლება:

(ა) როცა დასრულდება ყველა ის სამუშაო, რომლის შესრულებაც **თქვენ** მოგეთხოვებათ **თქვენი** ხელშეკრულებით; ან

(ბ) როცა დასრულდება სამუშაო საიტზე შესასრულებელი ყველანაირი სამუშაო, იმ შემთხვევაში, თუ **თქვენი** ხელშეკრულება ითვალისწინებს სამუშაოების შესრულებას ერთზე მეტ სამუშაო საიტზე; ან

(გ) როცა ნებისმიერი ფიზიკური პირი თუ ორგანიზაცია (გარდა იმავე პროექტზე მომუშავე სხვა კონტრაქტორებისა ან ქვეკონტრაქტორებისა) იწყებს სამუშაო საიტზე შესრულებული სამუშაოს ნაწილის დანიშნულებისამებრ გამოყენებას

იმისდა მიხედვით, თუ ჩამოთვლილთაგან რომელი ხდომილება მოხდება უფრო ადრე.

ის სამუშაო, რომელსაც შეიძლება დასჭირდეს მოვლა, ტექნიკური მომსახურება, შესწორება, შეკეთება ან გამოცვლა, მაგრამ რომელიც სხვა მხრივ დასრულებულია, დასრულებულად მოიაზრება.

ბ. არ მოიცავს **სხეულის დაზიანებას** ან **ქონებრივ ზიანს**, რომელიც განპირობებულია

(1) ქონების ტრანსპორტირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა **სხეულის დაზიანება** თუ **ქონებრივი ზიანი** წარმოიქმნა იმ პირობების გამო, რომლებიც შეიქმნა სატრანსპორტო საშუალებაში(ზე) (რომელიც არც **თქვენ** საკუთრებაში და არც **თქვენი** ოპერირების ქვეშ იმყოფება) და თუ ხსენებული პირობები შეიქმნა რომელიმე **დაზღვეულის** მიერ ამ სატრანსპორტო საშუალებაში **ჩატვირთვის ან** მისგან **გადმოტვირთვის** გამო;

(2) სამუშაო იარაღების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების ან მიტოვებული თუ გამოუყენებელი მასალების არსებობით.

18. უკუქმედების თარიღი

თარიღი, რომლის შემდეგაც მომხდარ **შემთხვევებს** შეუძლიათ აამოქმედონ ამ დაზღვევის ფარგლებში წარმოდგენილი **სხეულის დაზიანებისა** და **ქონებრივი ზიანის** დაფარვები.

19. სარჩელი (**სარჩელის** შეტანა) ნიშნავს იმ სამოქალაქო სამართალწარმოების ინიცირებას, რომელშიც განიხილება კომპენსაციის გადახდის საკითხი იმ **სხეულის დაზიანების** ან **ქონებრივი ზიანის** გამო, რომლებიც იფარება ამ დაზღვევით. **სარჩელის** შეტანა, ასევე, ნიშნავს დავის გადაწყვეტის ნებისმიერი სხვა ალტერნატიული პროცესის ინიცირებას, რომელშიც მოითხოვება ხსენებული კომპენსაციის გადახდა და რომელშიც მონაწილეობასაც **დაზღვეული** თანხმდება **ჩვენი** ნებართვით.

20. სხეულის დაზიანება ნიშნავს პიროვნების მიერ მიღებულ სხეულის დაზიანებას, ასევე, რომელიმე ასეთი დაზიანებით ნებისმიერ დროს გამოწვეულ გარდაცვალებას.

21. ტერორიზმი ნიშნავს დამოუკიდებლად ან ორგანიზაცი(ებ)ის/სახელმწიფო(ები)ს სახელით მოქმედი ან მათთან კავშირში მყოფი კონკრეტული პირის ან პირთა დაჯგუფებ(ებ)ის ქმედებას, მათ შორის, ძალის გამოყენებას, ძალადობას და/ან ასეთის მუქარას, რომელიც ხორციელდება პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან მსგავსი მიზნებით, მათ შორის ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის ანდა საზოგადოებაში ან მის რაიმე ნაწილში შიშის დანერგვის განზრახვით.

ამ დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით, გამონაკლისს ასევე წარმოადგენს ისეთი დაზიანება, დანაკარგი, თუ ნებისმიერი ბუნების ხარჯი თუ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, გამოწვეულია ნებისმიერი ისეთი ქმედებით (არის ისეთი ქმედების შედეგი ან დაკავშირებულია ისეთ ქმედებასთან), რომელიც განხორციელდა ტერორისტულ აქტზე კონტროლის დაწესების, მისი თავიდან აცილების ან ჩახშობის მიზნით, ან რაიმე ფორმით უკავშირდება ტერორიზმის ნებისმიერი აქტის მიმართ განხორციელებულ ქმედებას.

22. ქონებრივი ზიანი ნიშნავს ხელშესახები ქონებისთვის მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებას, მათ შორის ისეთს, რომლის შედეგადაც ხსენებული ქონების გამოყენება შეუძლებელი ხდება. იგულისხმება, რომ ქონების გამოყენების შესაძლებლობის ამგვარი დაკარგვა მოხდა იმ ფიზიკური დაზიანების მიყენების დროს, რომელმაც ის გამოიწვია.

23. შემთხვევა ნიშნავს უბედურ შემთხვევას, მათ შორის, უწყვეტად ან განმეორებითად, არსებითად ერთი და იმავე ზოგადი დამაზიანებელი პირობების ზეგავლენის ქვეშ ყოფნას.

24. ჩატვირთვა ან გადმოტვირთვა ნიშნავს ქონების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს:

ა. მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი გადაადგილება იმ ადგილიდან სადაც იგი ჩაიბარეს საჰაერო ხომალდში, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე/ში ან **ავტომობილზე/ში** გადატანის მიზნით;

ბ. საჰაერო ხომალდში, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე/ში ან **ავტომობილზე/ში** მისი ყოფნისას; ან

გ. საჰაერო ხომალდიდან, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებიდან ან **ავტომობილიდან** საბოლოო დანიშნულების ადგილამდე მისი გადაადგილების პროცესში;

თუმცა **ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის** ცნება არ მოიცავს ქონების გადაადგილებას ისეთი მექანიკური საშუალების მეშვეობით, რომელიც არ არის დამონტაჟებული საჰაერო ხომალდზე, საწყალოსნო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე ან **ავტომობილზე** მისადგმელად (გარდა ხელის ურიკისა).